



აღმოსავლეთი პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
აქანთქველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის

საქართველოს ეროვნული პლატფორმის

მე-6 საერთო კრების ოქმი

2015 წლის 11 თებერვალს ჩატარდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მე-6 საერთო კრება. კრებას ესწრებოდა 87 წევრი ორგანიზაცია.

შეხვედრა გახსნა საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ, ლაშა ტულუშმა და ისაუბრა საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარების, საქართველოში ევროპისა და ევროპული სტანდარტების შექმნის მნიშვნელობაზე. კრებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, დავით ბაქრაძემ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბორის იაროშევიჩმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიგი გიგიაძემ.

მომხსენებლებმა ყურადღება გაამახვილეს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მნიშვნელობაზე და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების როლზე. „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ევროპული ინტეგრაცია, ჩვენი დაახლოება ევროპასთან თუ ევროპის ჩამოყვანა საქართველოში არის ბუნებრივი მოთხოვნილება ჩვენი ეროვნული ცნობიერებიდან გამომდინარე და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის არჩევანი, მაინც ძალიან სერიოზული შრომა გვმართებს ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებას, მოქალაქეებს, რომ ეს ყველაფერი რეალობად ვაქციოთ და პროცესი მართლაც შეუქცევადი გახდეს“ - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ. ევროინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა ისაუბრა საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების პროცესზე და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობაზე. დავით ბაქრაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული პლატფორმა წარმოადგენს მნიშვნელოვან ფორუმს, რომელიც აქტიურად ჩაერთვება 2015 წლის ასოცირების ხელშეკრულების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგში. ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბორის იაროშევიჩმა ხაზი

გაუსვა ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობას, ევროინტეგრაციის პროცესში საქართველოს მიერ გატარებულ რეფორმებს, სამოქალაქო საზოგადოების როლს და უარყოფითად შეაფასა ბოლო პერიოდში სამოქალაქო სექტორზე განხორციელებული ზეწოლა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიგი გიგიაძემ ისაუბრა ვიზის ლიბერალიზაციის პროცესზე და ამ კუთხით რიგის სამიტის მნიშვნელობაზე.

საერთო კრების შემდეგ ნაწილში პლატფორმის თავმჯდომარემ, ლაშა ტულუშმა და ჯგუფების თანაკოორდინატორებმა (I ჯგ: ირინა ფუტკარაძე/ნათია კუპრაშვილი; II ჯგ: ოლეგ შატბერაშვილი/ნინო ელიზბარაშვილი; III ჯგ: თამაზ ვაშაკიძე/ნინო ჩხოზაძე; IV ჯგ: ალექსანდრა კალატოზიშვილი/ლევან ბოჭორიშვილი) წარმოადგინეს პლატფორმის მიერ 2014 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშები. მომხსენებლებმა დეტალურად მიმოიხილეს სამუშაო წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა, ისაუბრეს არსებულ გამოწვევებზე და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე.

კრების მიმდინარეობისას ჩატარდა პლატფორმის თავმჯდომარისა და ჯგუფების კოორდინატორების არჩევნები.

პლატფორმის თავმჯდომარედ დასახელდა ერთი კანდიდატი: ლაშა ტულუში - ლიბერალური აკადემია თბილისის დირექტორი.

თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 80 ორგანიზაციამ. კენჭისყრის შედეგად, ხმები შემდეგნაირად განაწილდა: 63 მომხრე, 17 ბიულეტენი გამოცხადდა ბათილად.

კენჭისყრის შედეგების შესაბამისად, პლატფორმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ლაშა ტულუში.

კოორდინატორების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 80 ორგანიზაციამ. კენჭისყრის შედეგად ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ჯგუფი I

1. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი - 48
2. ნათია კუპრაშვილი - საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია - 50
3. ქეთევან ჩაჩავა - განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი - 43
4. ელენე ფილეევა - კონსტიტუციის 42-ე მუხლი - 14

ჯგუფი II

1. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი - 53
2. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ - 27
3. ეკა გეგეშიძე – ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო - 24

4. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი - 23
5. ნინო ევგენიძე - ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი - 20

ჯგუფი III

1. მანანა დევიძე - ფონდი “კავკასიის ეკოლოგია“ - 52
2. ანზორ დუნდუა – საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია - 55

ჯგუფი IV

1. მარინე სოლომონიშვილი – საერთაშორისო ფონდი “ლეა” - 38
2. გიორგი შიომშვილი – კავკასიური სახლი - საქართველო - 9
3. ნინო ტლაშაძე – ადამიანის უფლებათა ცენტრი - 49
4. ნუკრი ყველაშვილი – ახალგაზრდული ალტერნატივა - 50

ჯგუფი V

1. ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება - 59
2. ზურაბ ფუტყარაძე - ჯანმრთელი სამყარო - 58

კენჭისყრის შედეგად, კოორდინატორებად არჩეულ იქნენ:

I ჯგუფი - ირინა ფუტყარაძე და ნათია კუპრაშვილი

II ჯგუფი - კახა გოგოლაშვილი და მანანა წულაია

III ჯგუფი - ანზორ დუნდუა და მანანა დევიძე

IV ჯგუფი - ნუკრი ყველაშვილი და ნინო ტლაშაძე

V ჯგუფი - ირაკლი პეტრიაშვილი და ზურაბ ფუტყარაძე

შეხვედრის შემდეგ ნაწილში პლატფორმის თავმჯდომარემ დამსწრეებს წარუდგინა წესდების ცვლილებების პროექტი, აქტიური განხილვის შედეგად პლატფორმის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით დამტკიცდა ახალი წესდება. წევრი ორგანიზაციები ასევე შეთანხმდნენ ასოციაციის ხელშეკრულების 412 მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის სტრუქტურაზე, ფორმირების წესზე და რაოდენობაზე. მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ 1 თვის ვადაში ჩატარდება კრება, სადაც შეიქმნება სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა (შემდგომში „ქართულ-ევროპული პლატფორმა“).

საერთო კრების ბოლოს შეიქმნა ტრანსპორტის ქვეჯგუფი და ადვოკატების სტრატეგიული ჯგუფი.